დეკანის ბრძანება № 12/2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების იულიხის კვლევით ცენტრში სტაჟირებისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იულიხის კვლევითი ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე გამოცხადდეს კონკურსი ქიმიის მიმართულების სტუდენტებისათვის იულიხის კვლევით ცენტრში ენერგიის და კლიმატის კვლევის ინსტიტუტში (IEK-8) სტაჟირების გასავლელად.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:
   - CV (ინგლისურ ენაზე, გთხოვთ შეიტანოთ მიმდინარე GPA);
   - სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი);
   - ამონაწერი სასწავლო ბარათიდან;
   - წინა სამ პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების ელექტრონული ვერსია (ფაილის სახელი: „გვარი.სახელი.pdf").

3. დაევალოს დეკანის მოადგილეს ბატონ ალექსანდრე თევზაძეს უზრუნველყოს:
   ა) სტუდენტების კონსულტაცია საბუთების მომზადებასთან დაკავშირებით;
   ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2014 წლის 30 ივნისს, 14:00-დან 17:00 საათამდე (თსუ მეორე კორპუსი, ოთახი 108, alexander.tevzadze@tsu.ge)

4. არასწორად, არასრულად, ან დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.

5. საკონკურსო დოკუმენტაცია გადაეცეს იულიხის კვლევითი ცენტრის ენერგიისა და კლიმატის კვლევის ინსტიტუტის (IEK-8) ადმინისტრაციას.

6. შერჩევის პროცესში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია:
   ა) გათვალისწინებული იქნეს ქართულ-გერმანულ სამეცნიერო სკოლა ვორქშოპში (GGSWBS14, 07.07.2014-12.07.2014) აქტიური მონაწილეობა.
   ბ) ჩატარდეს გასაუბრება კანდიდატებთან.

7. ბრძანება განთავსდეს ფაკულტეტის ვებ გვერდზე და შესაბამის სტენდებზე.

რამაზ ბოჭორიშვილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
18.06.2014